**Dachi De Graff**
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student at St Dimitri Kipiani School-College,
(Supervisor – Professor David Mirotadze)

# REDISCOVERING 'EUROPE'S HIDDEN GEM'

(Abstract)

KEYWORDS: Georgia, History, Stalin Museum, Controversial Legacy, Tourism

In October 2018, the broadcasters of one of the most popular car shows in the world, The Grand Tour, visited Georgia to make a special episode about the country. Jeremy Clarkson, Richard Hammond, and James May visited several cities, towns, and the local spots of their interest. Jeremy Clarkson, known for his straightforwardness, called Georgia 'Europe's hidden gem' that has yet to be discovered by the western world. Such a flattering assessment from a British celebrity is rather appreciable.

Not only the visitors but also the Georgians have a lot to discover in their own home country, such as Vardzia cave town, Saphara Monastery, Rabati Fortress (previously known as Lomisa Castle), Khertvisi fortress, Green Monastery, Timothesubani monastic complex, Alaverdi Cathedral, Kvetera Church in a historic fortified town of Kvetera, Old Shuamta and New Shuamta monasteries, Signagi dubbed as a 'town of love', Ananuri Fortress Complex, Ujarma Fortress, Uplistsikhe cave town, Dadiani Palace, Nokalakevi fortress city (also known as Tsikhegoji), Svetitskhoveli Cathedral, Jvari Monastery of Mtskheta, Holy Trinity Cathedral of Tbilisi, etc. Nothing from this long list has attracted the interest of the British presenters.

They specifically visited the town of Gori. The next morning, Clarkson and May attached a bust of Stalin's head to the bonnet of

Hammond's car jokingly and then raced on the motorway. But the British broadcasters' mood changed instantly after making a wrong turn and reaching the barbed wire made by Russian soldiers. Then they walked up to the makeshift boarder and spoke to the elderly Georgian gentleman across the occupational line in Samachablo. Without a single comment, the British presenters showed to the millions of viewers what the love of the country means in a Georgian way. It was pure solidarity on their part. Nothing else could be said or done.

Despite the old family tradition of visiting museums and historical places, only after seeing the promo video of The Grand Tour' special episode about Georiga I realised the fact that I had never ever visited the Stalin Museum myself. Because the visitors from other countries showed interest, I decided to pay a visit myself to Gori.

It does not matter which turn we take at the entrance to Gori. The town is planned so that, eventually, any road leads to the Stalin Museum. The complex consists of three parts: the memorial house where Joseph Jugashvili was born and lived until he was four, his personal train wagon, and the exhibition building, on which the state flag of Georgia is hoisted today.

The architecture of the two-storied building and the adjoining tower is so beautiful that it hardly corresponds to the minimalistic nature of Stalin's personality and taste. The reason for this must be the fact that initially, this museum intended to reflect the greatness of the socialist system, and only after Stalin's death, it has been transformed into his museum. This project belongs to Georgian architect Archil Kurdiani (1903-1988) who also created Dinamo Arena and Tbilisi TV Centre. The remarkable main chandelier of the museum is very similar to the famous grand chandelier of Tbilisi Opera and Ballet Theatre. Both are creations of the Merited Artist of Georgia, designer Nodar Ergemlidze (1939-1993).

In addition to the unique building and the 50,000 exhibits on display there, the front garden is eyecatching, especially, in May

when the rose bushes bloom and water flows between the small arched bridges.

In October 1957, the building was opened to the public and has been operating ever since. However, the museum has been closed periodically since the late 1980s. At the same time, there was a heated debate over whether to preserve the Stalin Museum, demolish it, similar to the soviet collapse, or turn it into something else that would serve a totally different purpose. The controversy continued until 2017 when the Georgian government finally decided to renovate and maintain the museum.

Stalin's personality has always been and will always remain controversial. Such an enigma will probably always have both supporters and people against him. In the future, undoubtfully, there will be another dispute whether a Stalin museum is necessary or not. There seem to be several reasons in favour of preserving it.

Firstly, it should be renamed. The existence of the museum will become less controversial if it is called the museum of the Stalin Regime, or the Stalin Era. It has been a while since this museum no longer serves as a place of worship for Stalin, nor it is a shrine for his cult – although such attitudes are still held by some admirers in Georgia as well as in Russia. The museum's new management has already begun a realistic depiction of Stalin's regime full of repression and innocent Georgian victims of the Soviet system during his rule.

Secondly, people from all over the world are still interested in Stalin's personality and visitors come over to see his museum. Since 2015 prior to the spread of the coronavirus, more than 50,000 tourists a year visited the Stalin Museum. Quite interestingly, there is a special route in Bavaria for tourists to pass by the spot where once Hitler's favourite summer residence – Berghof stood. There have never been any objections about whether to visit this place or not. Anyone seemed interested to have a look at the few remaining stones. In Cambodia, the authorities turned one of the local cemeteries into a tourist attraction the times of Khmer Rouge. Arguably,


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

some can like the idea while others might find it rather creepy. There is a massive difference between the praise of the system and modern realistic approaches to the horrors of the political past. These two should be clearly separated in the case of the Stalin Museum.

Thirdly, there have been held a few events in the museum that had no relation to the Stalin theme: several exhibitions of the traditional handicrafts by locals, hand-made items by people with disabilities, works by Georgian photographers, drawings by students of the Tbilisi State Academy of Arts; a fashion show with the participation of refugee teenagers; celebrating World Down Syndrome Day, and International Museum Day; holding a piano music concert dedicated to the Independence Day of Georgia, etc.

Finally, Joseph Stalin and the Soviet regime are part of the history of Georgia, which should be preserved in the form of artefacts in such a realistic manner that no one would ever think of repeating similar mistakes in the future. As the Georgian saying goes, it is far better to see once with your own eyes than been told about something over and over again endlessly.

Since it is impossible to erase parts of the history, it needs to be presented correctly. While the Stalin's Museum is clearly turning into a renewed place that offers an open-minded approach towards the darkest facts during the 70 years of Soviet occupation, the museum in Gori may become an important source of information for future generations to realise all wrong-doings of the Stalin regime. For this purpose, the museum can be maintained. Praising the rule of Stalin, or propagating the Soviet lifestyle must be completely ruled out. Therefore, according to the new concept of the museum it has to be decided whether it will exist or not. After all, radicalism belongs to the Soviet period and it has nothing to do with democracy, which is the political choice of freed and independent Georgia today.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის
მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის სტუდენტი,
(თემის ხელმძღვანელი – პროფ. დავით მიროტაძე)

# „დამალული მარგალიტის“ კვლავ აღმოჩენა

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ისტორია, სტალინის მუზეუმი, საკამათო მემკვიდრეობა, ტურიზმი

## 1. კრიმინალი, კორონავირუსი და კაცობრიობა

კორონავირუსთან მსოფლიოში მიმდინარე ბრძოლის[58] ფონზე ცხოვრების ჩვეული რიტმი მრავალგზის დაირღვა. ბევრი რამ გადაფასდა. შეიცვალა არაერთ საკითხთან დამოკიდებულება. ამავე დროს, ადამიანების უმეტესობამ, თითქოს, ინტერესი დაკარგა სხვა მწვავე პრობლემებისადმი. ისინი კი გადაუჭრელი გროვდება. მულტიმედიური სივრცე იმდენად გადავსებულია ვებგანახლებებით პანდემიის დეტალებსა და ჭორ-მართლის შესახებ, რომ ხშირად შეუმჩნეველი რჩება დანარჩენი. კოვიდ-19 ნამდვილად არაა ერთადერთი საზრუნავი და, ვფიქრობ, სხვა პრობლემებზე ფიქრის სკარლეტ ო'ჰარასავით[55] სახვალიოდ გადადება გაცილებით გაართულებს სამომავლოდ მათი გადაჭრის პროცესს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემაა გაერთიანებულ სამეფოში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უპრეცედენტოდ გაზრდილი კრიმინოგენული მაჩვენებელი, რაც წინ უსწრებდა ვირუსულ „მესამე მსოფლიო ომს“.[57] სიტუაცია ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა კორონავირუსის



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

პერიოდში. უბრალოდ, თითქოს, განცდის სიმძაფრე დაეკარგა საზოგადოებას.

2018 წლის 28 მაისს ქალაქ დერბიში მცხოვრები 100 წლის ქალი, რომელიც ჰოლოკოსტს სასწაულით გადაურჩა, ეკლესიაში მიმავალი მძიმედ დაშავდა.[34] ის 40 წლის ნარკოდამოკიდებულმა კაცმა ხელჩანთის წართმევის მცდელობისას წააქცია 20 გირვანქა სტერლინგის გულისთვის, რითიც ჰეროინის ყიდვას აპირებდა.[79]

2018 წლის ნოემბერში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 98 წლის პიტერ გოლდსტონიც სასიკვდილოდ დაშავდა, როდესაც მძარცველები შინ მიუვარდნენ.[26]

იმავე წლის 4 დეკემბერს პიტერის მახლობლად მცხოვრები 80 წელს მიტანებული მორინ უეილი გულის უკმარისობით დაიღუპა,[78] როდესაც მძარცველები შეიჭრნენ სწორედ იმ სახლში, სადაც გერმანული ბლიცის დროს დაიბადა ჩრდილოეთ ლონდონის გარეუბანში.[75] გულგახეთქილმა ქალმა 999-ზე დარეკვა მოასწრო და დახმარება ითხოვა. აშკარად სუნთქვა უჭირდა, მაგრამ თავდამსხმელების გარეგნობა მაინც აღწერა და თან აკანკალებული ხმის გამო მოიბოდიშა. ეს ზარი 14 წუთი გაგრძელდა. მერე მორინი მოულოდნელად გაჩუმდა. ოპერატორმა გაიგონა პარამედიკოსების[14] ფეხის ხმა, რომლებიც ქალის გადასარჩენად მის სახლში შევიდნენ, მაგრამ გული ვეღარ აუმუშავეს.

როდესაც 2020 წლის 27 თებერვალს ჯოზეფინა კეიმ კარი უცნობს გაუღო, სახრახნისით შეიარაღებული მკვლელის პირისპირ აღმოჩენას ნამდვილად არ ელოდა გულუბრყვილო მოხუცი.[56] რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგის წაგლეჯის მიუხედავად, მკვლელმა არ დაინდო 88 წლის ქალი.

სიტუაცია არანაკლებ მძიმეა დაზარალებულისთვის, თუ მსხვერპლი საკადრისი წინააღმდეგობის გაწევასა და თავის დაცვას მოახერხებს. როდესაც 78 წლის პენსიონერს თავდამსხმელი სამზარეულო დანით შემოაკვდა, რიჩარდ ოსბორნ-ბრუქსი ხანგრძლივ ხათაბალაში გაეხვა.[63] ჯერ მძარცველის მკვლელობის ბრალდებით დააპატიმ-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

რეს, გირაოს გადახდის შემდეგ, თავდებში გამოუშვეს და მხოლოდ ერთი წლის თავზე შეეშვნენ, როდესაც სასამართლომ საბოლოოდ გამოუტანა გამამართლებელი ვერდიქტი.[46] ასაკოვან, უდანაშაულო ადამიანს 13-თვიანი ნერვიულობის გადატანა მოუხდა სრულიად უსაფუძვლოდ: ორი შეიარაღებული მძარცველი შინ მიუვარდა. მას, უბრალოდ, გაუმართლა, რომ გადარჩა. აღსანიშნავია, რომ მოკლული 37 წლის ჰენრი ვინსენტი სხვა ძარცვის გამო უკვე იძებნებოდა პოლიციის მიერ, თუმცა უშედეგოდ[63] და სანამ „დედოფლის კმაყოფაზე“[38] ცხოვრებას აიძულებდა სამართალი, დროს არ კარგავდა, ახალი დანაშაულის ჩადენას ცდილობდა.

ნაკლებად გაუმართლა შეიარაღებული მძარცველისგან საკუთარი თავისა და შეყვარებულის წარმატებით დაცვის შემდეგ გლაზგოელ პატრიკ ფინს, რომელსაც 2018 წლის სექტემბერში რონალდ პატისონი შემოაკვდა. 49 წლის მამაკაცს ამ დანაშაულებრივი შედეგისთვის ხუთწლიანი სასჯელის ციხის კედლებში მოხდა მიუსაჯა სასამართლომ,[53] რადგან ფინმა ვერ დაამტკიცა თავდაცვის ასპექტი თავის ქმედებაში: მძარცველის მიერ უკვე დაჭრილმა კაცმა საპასუხოდ 17-ჯერ დაარტყა დანა შეიარაღებულ თავდამსხმელს, რაც გადაჭარბებად ჩაუთვალა შოტლანდიურმა კანონმა.[52]

2020 წლის დადგომასთან ერთად, რეგულარულ დანაშაულს კორონავირუსის თემასთან დაკავშირებული კრიმინალური ქეისები დაემატა. განსაკუთრებით ხშირია სახლის ვირუსებისგან გაწმენდის საბაბით,[31] მარტოხელა მოხუცების ბინებსა თუ სახლებში შეღწევა, რასაც მინიმუმ მათი გაძარცვა მოსდევს, თუ ლეტალური შედეგის დადგომა არა.

არარსებული „კორონა ვირუსისგან გასუფთავების სამსახურის“ ცრუ წარმომადგენელმა 74 წლის ლონდონელ ტერის ტელეფონით შესთავაზა მისი საცხოვრებელი ფართის გაწმენდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მამაკაცმა შვილს უამბო და ედუარდმა კომპანიის ნომერზე გადარეკა, მაგრამ როცა უცნობს დეტალებთან და-

კავშირებით ჩაეძია, მას უბრალოდ გაუთიშეს. ფრთხილი ტერი, სავარაუდოდ, ძარცვის სერიოზულ საფრთხეს გადაურჩა. ამგვარი ვარაუდის საფუძველს იძლევა ტერის ამბის მსგავსება ანალოგიურ 108 შემთხვევასთან, რომლებიც ბრიტანულმა პოლიციამ დააფიქსირა 1 თებერვლიდან მარტის შუა რიცხვებამდე.[45]

მთელ ინგლისში გახმაურდა ასაკოვანი ქალბატონის მოხერხებულობის ამბავი ქალაქ კემბერლიდან. მას შინ სამი ნიღბიანი მოტყუებით შეეჭრა 16 მარტის საღამოს.[61] თუმცა თავდაპირველად უცნობებს კარს არ უღებდა, ვითომდა მთავრობის სახელით სახლის სადეზინფექციოდ მისული კრიმინალები დაუმორჩილებლობის შემთხვევაში დაპატიმრებით დაემუქრნენ. ამ არგუმენტმა გაჭრა. ფიზიკური ზიანი არ მიუყენებიათ, მხოლოდ 220 გირვანქა სტერლინგს ითხოვდნენ. მძარცველების აფერისტობას ქალმა ეშმაკობითვე უპასუხა: ალალად გაუწოდა საფულეში შემორჩენილი 20-პენსიანი მონეტა, ნაღდი ფულის არქონაში დასარწმუნებლად და გაწბილებული მოძალადეები ხელცარიელი გაუშვა.[60] ახლა, შესაძლოა, სახალისოდ ჟღერდეს უმსხვერპლოდ დამთავრებული ძარცვის მცდელობა, მაგრამ ეს რეალურ სიტუაციას ოდნავაც არ აიოლებს. მოხუცი მსხვერპლის ჯანმრთელობისთვის დაშინებასაც სავალალო შედეგი შეეძლო მოეტანა.

მრავალი მსგავსი ნიუსი თანამედროვე ადამიანს ისევ ომის თემაზე დააფიქრებს, რადგან სასიცოცხლო საფრთხეებთან ხელჩართული ბრძოლა უწევს ხოლმე. ისტორია, ფართო გაგებით, აბსოლუტურად ყველაფრის წარსულს სწავლობს, არამხოლოდ პოლიტიკურ-კრიმინალურ ამბებს. ამიტომაც არსებობს ლიტერატურის ისტორია, კინოს ისტორია, ოპერის ისტორია, ფეხბურთის ისტორია და სხვ. თუმცა, განსაკუთრებული აქცენტი მაინც საბრძოლო თემატიკაზე კეთდება.

დღევანდელი რეალობა საომარ სიტუაციას წააგავს, იმდენად დაუცველია შინ მყოფი ადამიანიც კი. ლონდონის ქუჩებში გახშირებული მკვლელობების მიზეზი ჯერაც ვერ დაუდგენია გამოძიებას, იმდენად უმოტივაციო



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ჩანს ალალბედზე მომხდარი თავდასხმები. სტატისტიკის მიხედვით, მხოლოდ ლონდონში 2018 წლის განმავლობაში 169 ადამიანი,[22] 2019 წლის განმავლობაში 149 ადამიანი,[36] ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში 30-მდე ადამიანი[48] სასიკვდილოდ დაჭრეს დანით. ასეთი მაღალი კრიმინალური მაჩვენებელი მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აღარ დაფიქსირებულა გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქში. დიდი ინგლისური ქალაქების თავზე საპოლიციო ვერტმფრენით კრიმინალის ძებნა ისე გახშირდა, როდესაც „ფორსაჟი 9"-ის გადაღება მიმდინარეობდა შალვა ნუცუბიძის მესამე და მეოთხე ფერდობებს შორის, თანაც, 112-ის ეფექტური შენობის მიმართულებით, ინგლისიდან ახლადდაბრუნებულმა გონებაში უნებურად გავავლე პარალელი.

XX საუკუნის ისტორია არაერთი ომის, რევოლუციისა თუ პოლიტიკური გადატრიალების უწყვეტი რიგია. ახალი ათასწლეულიც ტოლს არ უდებს წინამორბედ ეპოქას სამხედრო კონფლიქტების სიხშირით. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის მასშტაბურობა მაინც განსაკუთრებულია. იმ დროს, როცა მესამე მსოფლიო ომის შესაძლებლობაზე პერიოდულად მსჯელობენ, ძალაუნებურად უბრუნდები კაცობრიობის ისტორიაში ჯერჯერობით უდიდეს განსაცდელს.

## 2. ბრიტანელი წამყვანები საქართველოში

მეორე მსოფლიო ომის კვლევა მრავალი კუთხით შეიძლება და ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო იქნება. შემეძლო ამერჩია ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი სერ უინსტონ ჩერჩილი, აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, ამერიკელი და ქართველი გენერლებიდან ერთ-ერთი: დუაიტ აიზენჰაუერი, დაგლას მაკარტური, კონსტანტინე ლესელიძე[10] ან პორფილე ჩანჩიბაძე.[17] ქართველი პოეტის, კაპიტან მირზა გელოვანის ცხოვრებისა და ბელარუსის ტერიტორიაზე ჩარჩენილი მისი საფლა-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ვის[15] თემაც აქტუალური მგონია. აპენინის ნახევარკუნძულზე ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ პარტიზანულად მებრძოლი, 1970 წელს იტალიის ეროვნულ გმირად შერაცხული ფორე მოსულიშვილის გახსენებაც არასდროს იქნება ზედმეტი. 410 საბრძოლო გაფრენისა და 70-ზე მეტი საჰაერო ბრძოლის მონაწილე გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანის სახელიც შედარებით მივიწყებულია ჩემს თაობაში. ამერიკელი ასტრონავტების მთვარეზე დაშვებასავით, ეჭვქვეშ დაყენებული რაიხსტაგზე ქართველი მელიტონ ქანთარიას მიერ გამარჯვების დროშის აღმართვის ამბავიც უფრო მეტადაა დასაფასებელი, მითუმეტეს, როცა მისი დაბადებიდან 100-წლისთავი მოდის.

ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც 2018 წლის ოქტომბერში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გადაცემის „დიდი ტურნეს“[73] წამყვანები – ჯერემი კლარკსონი, რიჩარდ ჰამონდი და ჯეიმს მეი საქართველოს ესტუმრნენ და სპეციალური გადაცემა მოამზადეს ჩვენს ქვეყანაზე. ერთ-ერთ ეპიზოდში ისინი სტალინის სახლ-მუზეუმს ესტუმრნენ და ბევრი იხალისეს, როგორც სტალინის პიროვნებაზე, ისე მისი მუზეუმის ექსპონატებზე. ვიღაცას, შეიძლება, მათი საქციელი არ მოეწონა, მაგრამ ბრიტანული იუმორის მიღმა, თითქმის, ყველაფერზე ილაპარაკეს შოუს წამყვანებმა, რისი უფლებაც გააჩნდათ პოლიტიკური კორექტულობის ფარგლებში. უმნიშვნელოვანესი ფაქტი ისაა, რომ ამ სუპერპოპულარული გადაცემის მესამე სეზონში ყველაზე მეტი, რეკორდული ნახვა სწორედ საქართველოზე გადაღებულ ეპიზოდს აქვს. ეს კი უდიდესი რეკლამაა ჩვენი ქვეყნისთვის, რაც სრულიად უანგაროდ გაგვიკეთეს ბრიტანელმა წამყვანებმა.

ჩემი არჩევანი (ბოდიშს ვიხდი, რომ მეორე მსოფლიო ომის თემასთან კავშირში ჰიტლერის წიგნის სათაურის ანალოგი მეც ბრიტანული იუმორივით გამომივიდა) იმ დამთხვევამაც განაპირობა, რომ ახლახან სტალინის დაბადებიდან 140 წელი შესრულდა. გასაკვირი არაა, რომ საქართველოში ეს თარიღი ოფიციალურად არავის აღუნიშნავს. თუმცა ორგანიზაცია „სტალინელმა“ და საქარ-

თველოს კომუნისტურმა პარტიამ (რომელთა არსებობაც ქართული დემოკრატიის ფუნქციონირებას ადასტურებს) ლოკალური ღონისძიებები მოაწყო გორში 21 დეკემბერს შარშან[1] და შარშანწინ.[18] 2019 წელს მნიშვნელოვანი დეტალი ის იყო, რომ მშვიდობიანი მსვლელობის მონაწილეებმა ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლება მოითხოვეს ცხინვალის იზოლატორიდან.[3] ამას გარდა, წინა წლებისგან განსხვავებით,[2] დემონსტრანტთა ალისფერ დროშებზე აღარ იყო საბჭოთა სიმბოლოები – ნამგალი და ურო. საბედნიეროდ, ქართველი ექიმი მშვიდობით დაგვიბრუნდა შობა-ახალი წლის დადგომამდე.[75]

მარტო უცხოელ სტუმრებს კი არა, ქართველებსაც ბევრი გვაქვს სანახავი საკუთარ სამშობლოში, ქვეყნის უკეთ გასაცნობად. ამიტომ წლებია რეგულარულად ვმოგზაურობ საქართველოს ისტორიული ძეგლების შესასწავლად. ვნახე ვარძია, საფარა, აწყურის ციხე, ახალციხე, რაბათის ციხე, ხერთვისი, მწვანე მონასტერი, ტიმოთესუბანი, ალავერდი, ბახტრიონის ნაციხარი, კვეტერა (სადაც მანქანა ვეღარ ავიდა და გზის დარჩენილი ნაწილი ფეხით დავფარეთ ზღაპრულად ლამაზ ბუნებაში, რომელიც, ალბათ, კოლონკელიძის ასული შორენას დროიდან ხელუხლებელია); ვნახე ბიძინა ჩოლოყაშვილისეული ახმეტა, ძველი და ახალი შუამთა (ბაში-აჩუკს თავისი დები რომ ჰყავდა გადამალული), გრემი (პატარა კახის ნაკვალევს დღემდე რომ ინახავს), თელავი, ყვარელი, ანანურის ციხე, უჯარმა (სადაც ჩემი სეხნია, საქართველოს მომავალი მეფე დაჩი დაიბადა), სვეტიცხოველი (არსაკიძეს მკლავის ფასად რომ დაუჯდა), ჯვრის მონასტერი, ბებრის ციხე მცხეთასთან, ლურჯი მონასტერი ვერაზე, ანჩისხატის ეკლესია, სამების საკათედრო და სიონის საპატრიარქო ტაძრები ძველ თბილისში...

ამ გრძელი სიიდან არც არაფერი უნახავთ ბრიტანელ წამყვანებს. მაინცდამაინც გორში წავიდნენ და სამაჩაბლოს საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ ასაკოვან ქართველ მამაკაცს გაესაუბრნენ, რომელიც თავისი იქ დგომით დღეს იმაზე მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, ვიდ-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

რე ბევრი პოლიტიკოსი დედაქალაქში. სტალინის ბიუსტით ავტობანზე მოლაზღანდარე ბრიტანელები უცებ დასერიოზულდნენ მავთულხლართებთან, თითქოს, სხვა ადამიანებად იქცნენ. მათი მხრიდან ეს წმინდა წყლის სოლიდარობა იყო და გამგებმა მშვენივრად გაიგო. წამყვანებმა ერთი პატარა კადრით, უკომენტაროდ აჩვენეს მსოფლიოს მილიარდიან მაყურებელს, რას ნიშნავს სამშობლოს სიყვარული ქართულად.

## 3. გადაცემა „დიდი ტურნე“

ეს გადაცემა კომპანია „ამაზონის“ დაფინანსებით დაარსდა ხუთიოდე წლის უკან. გადაღებებს კურირებს „ამაზონ სტუდიო“. პირველი ეპიზოდი 2016 წლის 18 ნოემბერს გავიდა „ამაზონ პრაიმ ვიდეოს“ ონლაინ ეთერში და ისეთივე პოპულარობა მოიპოვა, როგორც სამი ბრიტანელი წამყვანის ძველ გადაცემას ჰქონდა 2002 წლიდან.[74]

„დიდი ტურნეს“[73] შექმნას წინ უძღოდა ბი-ბი-სის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროექტიდან „ზესიჩქარე“[74] ბრიტანელი წამყვანებისა და მათი პროდიუსერის ენდი უილმანის სკანდალით წამოსვლა. მსოფლიო მედიას მოედო ჯერემი კლარკსონის უხეშობის ამბავი, თუმცა, რეალური მიზეზი შემოქმედებითი თავისუფლება და გაცილებით დიდი ანაზღაურება გახდა. როგორც ენდი უილმანმა ახსნა: „(ამაზონის მესვეურები, დ.დ.) ისეთი პროგრამის გაკეთების საშუალებას მოგვცემენ, ჩვენ რომ გვინდა“.[27] 2002 წლიდან მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მაყურებლისთვის გამორჩეულად საინტერესო გადაცემის ახლით ჩანაცვლება საკმაოდ ბუნებრივად განხორციელდა, რადგან შენარჩუნდა ფორმატი და თემატიკა.[54]

სწორედ უხეში პირდაპირობით ცნობილმა ჯერემი კლარკსონმა 2018 წლის ოქტომბერში საქართველოს „დამალული მარგალიტი“ უწოდა, რომელიც ჯერაც აღმოსაჩენი აქვს მსოფლიოს. ცინიზმის ცოცხალ სიმბოლოდ



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

აღიარებული ადამიანისგან ამგვარი შეფასება განსაკუთრებით ფასეული მგონია.

მუზეუმებისა და ისტორიული ძეგლების სტუმრობის მრავალწლიანი ოჯახური ტრადიციის მიუხედავად, მხოლოდ „დიდი ტურნეს“ პრომო-ვიდეოს ნახვის შემდეგ დავფიქრდი იმ ფაქტზე, რომ არასოდეს ვყოფილვარ სტალინის მუზეუმში. უფრო მეტიც, არც ვიცოდი თუ ისევ არსებობდა, რადგან შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გააუქმეს თუ დახურეს ჯერ კიდევ ჩემ დაბადებამდე. გორშიც კი არ ვიყავი ნამყოფი, მხოლოდ – გვერდის ავლით მქონდა მანქანიდან დანახული ამ პატარა ქალაქის სახურავებისა და შენობათა სილუეტების ხედი. რადგან უცხოელებმა გამოიჩინეს ინტერესი, ამიტომ გადავწყვიტე გორის დათვალიერება.

## 4. გორის მთავარი ღირსშესანიშნაობა

თბილისიდან როცა მცხეთისკენ მიმავალი გზით დედაქალაქს დავტოვებთ, ჯვრის მონასტერს ჩავუვლით და ავტობანზე ლამის ორი საათი ვიმგზავრებთ (თუ ტრასა არაა ტრაილერებით გადატვირთული, მაშინ საათნახევარიც საკმარისია), პატარა, მაგრამ მსოფლიოში საკმაოდ ცნობილი ქალაქის – გორის შესასვლელს მივადგებით.

სულერთია რომელ ქუჩას ავირჩევთ, გორის გადასახვევიდან; ქალაქი ისეა დაგეგმილი, რომ ნებისმიერი გზა სტალინის სახლ-მუზეუმთან მიგვიყვანს. აქ მშენებლობა 1937 წელს დაიწყო და თავდაპირველად ეს მუზეუმი სოციალიზმის განდიდებას ისახავდა მიზნად. მხოლოდ „დიდი ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ ეწოდა სტალინის მუზეუმი.

სტალინის მუზეუმის კომპლექსი სამი ნაწილისგან შედგება: მემორიალური სახლი (სადაც დაიბადა და ცხოვრების პირველი ოთხი წელი გაატარა იოსებ ჯუღაშვილმა), სტალინის პირადი ვაგონი და ორსართულიანი საექსპოზიციო შენობა კოშკით (რომელზეც დღეს საქარ-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

თველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებს). უნიკალური არქიტექტურის მქონე შენობისა და იქ გამოფენილი 50 ათასამდე ექსპონატის გარდა, საინტერესო სანახავია გემოვნებით გაშენებული მოზრდილი ბაღი. განსაკუთრებით ლამაზია იქაურობა მაისის თვეში, როდესაც სტალინის სახელზე დარგული ვარდის ბუჩქები აყვავილდება და შადრევნებიც ჩაირთვება. პატარა, თაღოვან ხიდებზე სეირნობა კი წლის ნებისმიერ დროს სახალისოა.

სტალინის სახელმწიფო სახლ-მუზეუმის კომპლექსის საერთო ფართობია 3864 კვ/მ. აქედან მუდმივ ექსპოზიციას უკავია 1487 კვ/მ, საცავს 134 კბ/მ, ხოლო სუვენირების მაღაზიას 35კვ/მ. დღეისთვის მუზეუმის ფონდში ინახება 47045 ექსპონატი და 12756 დამხმარე და სამუზეუმო მასალა.

მუზეუმის ოფიციალური მისამართია: 1400, ქ. გორი, სტალინის გამზირი №32. მუზეუმის ოფიციალური საიტი,[89] რომელიც მითითებულია საქართველოს მუზეუმების შესაბამის ვებგვერდზე,[84] არსებით ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ პირს.

ი.ბ.სტალინის სახელმწიფო მუზეუმი მუშაობს ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე ზაფხულში, ხოლო 1 ნოემბრიდან 1 აპრილამდე საღამოს 5 საათამდე. მხოლოდ ორი დასვენების დღე აქვს: ახალი წელი და აღდგომის დღესასწაული.

## 5. მემორიალური სახლი

ერთსართულიანი აგურის სახლი ხის შუშაბანდით, სადაც იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი (მომავალში, სტალინი) დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს და 1884 წლამდე ცხოვრობდა, ქვის დამცავი ნაგებობის ქვეშაა მოთავსებული, რომ საუკუნენახევრის შენობამ დროსა და უამინდობას მაქსიმალურად გაუძლოს. ეს სახლი აღადგინეს, დამცავი პავილიონი ააგეს და მნახველთათვის გახსნეს 1937 წლის 10 ნოემბერს. ბილეთიან ვიზიტორებს



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

სტალინის მემორიალური სახლის კარს გიდი უღებს. მაგიდის, ორი სკამის, საწოლისა და რამდენიმე საოჯახო ნივთის გარდა შიგნით ბევრი არაფერია. სახლის გარედან დათვალიერება ყველასთვის უფასოა. შენობას აქვს ნახევარსარდაფიც.

მემორიალურ სახლსა და საექსპოზიციო შენობას შორის სტალინის თეთრი ძეგლია, რომელიც ადრე გორის ცენტრალურ მოედანზე იდგა და მუზეუმის ტერიტორიაზე 2010 წლის ივნისში გადმოიტანეს.

## 6. სტალინის პირადი ვაგონი

ამ ჯავშნიანი, მწვანე ვაგონით იმგზავრა სტალინმა თეირანის (1943 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერი), იალტისა (1945 წლის 4-11 თებერვალი) და პოტსდამის (1945 წლის 17 ივლისი – 2 აგვისტო) კონფერენციებზე დასასწრებად.[20]

ეს ექსპონატი მუზეუმს 1985 წელს შეემატა, როდესაც როსოვის ერთ-ერთი ჯართსაყრელიდან გორში ჩამოიტანეს. იგი 83 ტონას იწონის ჯავშნიანად. დამზადებულია ამერიკელი ინჟინრის, ჯორჯ პულმანის (1831-1897) მიერ დაარსებულ ქარხანაში ქ. ჩიკაგოს სამხრეთ უბანში.

ვაგონში შესვლა მხოლოდ ბილეთიან მნახველებს შეუძლიათ. აქ არის სამზარეულო, აბაზანა ტუალეტით, დაცვის ოთახი, სტალინის კაბინეტი და ცნობილი სათათბირო სალონი, სადაც გერმანელებმა კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. ყველა ოთახი-კუპე სადად, მაგრამ ფუნქციონალურადაა მოწყობილი. მხოლოდ აუცილებელი ნივთებია და ფუფუნების საგნები არსადაა. ვაგონი შიგნიდან წითელი ხითაა გაწყობილი.

ახლა ვაგონში ნესტისა და სიძველის მძიმე სუნია, რაც არასათანადო მოვლის შედეგი უნდა იყოს. თუმცა ყველაფერი საკმაოდ სუფთად გამოიყურება. სტალინის მუზეუმის დირექტორის თხოვნის საფუძველზე, სტალინის პირად ვაგონს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგ-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ლის სტატუსი მიანიჭა 2019 წლის 16 დეკემბრის ბრძანებულებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ნიკოლოზ ანთიძემ.

## 7. საექსპოზიციო შენობა კოშკით

ორსართულიანი საექსპოზიციო შენობა და მასზე მიდგმული კოშკი არქიტექტურული სილამაზით იმდენად გამოირჩევა, რომ სტალინის პიროვნების ასკეტურ ბუნებას საერთოდ არ შეესაბამება. თუმცა, ეს ბუნებრივია, რადგან როდესაც იგი გაიხსნა 1951 წელს, ეს იყო სოციალიზმის ისტორიის მუზეუმი და მხოლოდ წლების შემდეგ გადაკეთდა სტალინის მუზეუმად. მნახველზე ნამდვილად წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს როგორც გარე, ისე შიდა ხედი. პროექტის ავტორია არქიტექტორი არჩილ გრიგოლის ძე ქურდიანი (1903-1988), რომელსაც ასევე ეკუთვნის ისეთი ცნობილი პროექტები, როგორიცაა დინამო არენა (1933-1937) და ტელეცენტრი (1957, 1974).

მუზეუმის შენობა მოპირკეთებულია ეკლარის ქვითა და თეთრი მარმარილოს პერანგით. ვესტიბიული (პირველი სართულის ჰოლი) წითელი მარმარილოთია გაწყობილი. შენობის როგორც ექსტერიერი, ისე მისი ინტერიერი შემკულია ულამაზესი ჩუქურთმებითა და შთამბეჭდავი სვეტებით. აღსანიშნავია მუზეუმის მთავარი ჭაღი, რომელიც ძალიან ჰგავს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ჭაღს იმ მარტივი მიზეზით, რომ ერთი და იგივე ავტორი ჰყავს ორივეს – საქართველოს დამსახურებული მხატვარი, დიზაინერი ნოდარ ერგემლიძე (1939-1993).[9]

მნახველთათვის ეს შენობა 1957 წლის ოქტომბერში გაიხსნა და მას შემდეგ ფუნქციონირებს. თუმცა მუზეუმი პერიოდულად იკეტებოდა 1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული. პარალელურად, დიდი კამათი და მსჯელობა მიმდინარეობდა, შეენარჩუნებინათ სტალინის მუზეუმი,



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

დაენგრიათ თუ გადაეკეთებინათ რაიმე სხვა დანიშნულების შენობად. მართალია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2008 წლის 4 მარტის №3/36 ბრძანების თანახმად, შენობას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, კამათი 2017 წლამდე გაგრძელდა. საბოლოოდ, მიიღეს სამთავრობო დადგენილება, რომლის თანახმადაც მუზეუმი არათუ აღდგა და ფუნქციონირებს, არამედ გამოყოფილია სპეციალური ფულადი ფონდი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მისი თანამედროვე არქიტეტურული მიღწევების შესაბამისი რეკონსტრუქცია სამომავლო შენარჩუნების მიზნით (როგორც მუზეუმის დირექტორმა განმარტა).

განსაკუთრებით საჩქაროა სპეციალური გათბობის სისტემის დამონტაჟება, რომ ზამთრის სუსხმა და ნესტმა არ გაანადგუროს როგორც ექსპონატები, ისე შენობა. უმთავრესი პრობლემაა გათბობის სისტემის დამონტაჟების ისეთი სპეციალისტის პოვნა, ვინც არქიტექტურის დაუზიანებლად შეძლებს სამუშაოების ჩატარებას. ასეთი ადამიანის გამოჩენამდე, სტალინის მუზეუმში ელექტროგამათბობლებს იყენებენ, თუმცა ზამთარში მარმარილოებიან დარბაზებში იმაზე უფრო ცივა, ვიდრე გარეთ.

7.1. ვესტიბიული და სუვენირების მაღაზია

მუზეუმის შენობის პირველ სართულზე, ვესტიბიულში დამთვალიერებელმა უნდა შეიძინოს ბილეთი. 6 წლამდე ბავშვებს, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველ მოზარდებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, სამხედროებს, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების მუზეუმთა თანამშრომლებს უფასოდ უშვებენ. სკოლის მოსწავლეებისთვის ბილეთის სიმბოლური ფასი აქვს – 1 ლარი. დანარჩენი ვიზიტორებისთვის ბილეთი 15 ლარი ღირს, სტუდენტებისთვის – 10 ლარი. აქვეა სუვენირების მაღაზია საკმაოდ მრავალფეროვანი, მაგრამ ძვირადღირებული ნივთებით.

7.2. რეჟიმის მსხვერპლთა სტენდი

მეორე სართული ექვს დიდ დარბაზადაა დაყოფილი და ათასობით ნივთი თემატურადაა გადანაწილებული. მართალია, ექსპონატების უმეტესობა უშუალოდ სტალინს უკავშირდება, მაგრამ მუზეუმის დღევანდელი შინაარსი ნამდვილად არ გულისხმობს საბჭოთა კავშირის ყველაზე ცნობილი მმართველის ქებასა და განდიდებას. პირიქით, აშკარად იგრძნობა იმის მცდელობა, რომ მაქსიმალურად რეალისტურად აჩვენონ სტალინის ეპოქის ბნელი მხარეც. სწორედ ამის გამო, მუზეუმში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა სტენდს, სადაც გამოფენილია ისეთი გამოჩენილი ქართველების ფოტოები, როგორებიც იყვნენ ვაჟა-ფშაველას ვაჟი – ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამოაზრე და ხელისშემწყობი, სამხედრო ოფიცერი ლევან რაზიკაშვილი (1887-1923); ქართველი მხედართმთავარი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937); პოეზიის მეფის – გალაკტიონ ტაბიძის მეუღლე ოლღა (ოლია) ოკუჯავა, რომელიც 1937 წელს ციმბირში გადაასახლეს და 1941 წელს იქვე გარდაიცვალა; პოეტი ტიციან ტაბიძე (1893-1937); უდიდესი ქართველი პროზაიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე – მიხეილ ჯავახიშვილი (1880-1937); გენიალური ლექსების „წუთისოფელი“ და „ლექსო ამოგთქომ ოხერო“ ავტორი, უნიჭიერესი პოეტი მიხეილ (მიხა) ხელაშვილი (1900-1925), რომელიც „შეფიცულთა რაზმის“ წევრი იყო და ანტისაბჭოთა ბრძოლაში დაიღუპა. მისი ლექსები იმდენად პოეტური და ღირებული იყო, რომ საბჭოთა პერიოდშიც კი ბეჭდავდნენ, მაგრამ ხალხური ლექსების ანთოლოგიაში და ავტორის ვინაობის მიუთითებლად; პოეტი, მთარგმნელი და ესეისტი პაოლო იაშვილი (1834-1937); ქართველი საზოგადო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე – კონსტანტინე (კოტე) აფხაზი (1864-1923); დირიჟორი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე – ევგენი მიქელაძე (1909-1937); რეჟისორი, თანამედროვე ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და საქართველოს სახალხო არტისტი – ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი (1886-1937);



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ქართველი ფილოსოფოსი და მეცნიერი მოსე გოგიბერიძე (1897-1949); ქართველი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა (1872-1924); 1924 წლის 6 სექტემბერს ტირიფონის ველზე 24 პატრიოტ ქართველს შორის დახვრეტილი წმინდა მღვდელმოწამენი: ანდრია და პეტრე კარბელაშვილები და მათი ძმები.

ეს არაჩვეულებრივი ადამიანები საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლნენ. მათი უმეტესობა სწორედ 1920-1930-იან წლებში მოკლა სისხლიანმა სისტემამ. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება იყო ასეთი სტენდის გაკეთება და, სამომავლოდ, კიდევ უფრო მეტი სივრცეც უნდა დაეთმოს რეპრესიების თემას, რადგან საქართველოში, ფაქტობრივად, ოჯახი არ არსებობს, ვისაც პირდაპირ თუ ირიბად არ შეეხო საბჭოთა რეჟიმის სისასტიკე. სტალინური ეპოქის მაქსიმალური სიმართლით ჩვენება იქნება ამ მუზეუმის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი გამართლებაცა და დანიშნულებაც.

7.3. კრემლის კაბინეტი

პირველ დარბაზს სტალინის კაბინეტი ეწოდება. აქ წარმოდგენილია კრემლიდან ჩამოტანილი სტალინის სამუშაო მაგიდა და სკამები მოწვეული პირებისათვის. ეს და სხვა საოფისე ნივთები ნათელ წარმოდგენას უქმნის მნახველს, როგორ ასკეტურ გარემოში მუშაობდა საბჭოთა ლიდერი.

აქვეა გამოფენილი მისი პირადი ნივთების ნაწილიც: საპარსი მოწყობილობა, 1931 წელს სტალინის უმცროსი ვაჟის – ვასილის მიერ მამისთვის საჩუქრად დამზადებული ხის ზარდახშა არგონავტებიანი ნახატით, სტალინის ყოველდღიური და საპარადო შინელები, ბელადის შავი ჩექმები, სიგარები, პიანინო ეშერის აგარაკიდან და ა.შ.

განსაკუთრებული ექსპონატებია ინგლისის მეფის გეორგ VI-ის ნაჩუქარი ხმალი ქალაქ სტალინგრადის დამცველებისთვის; ფირმა „პელიკანის“ ავტოკალამი, რომელსაც სტალინი პოტსდამის კონფერენციაზე იყენებდა.


ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

7.4. ყრმობა და რევოლუციური ცხოვრება

მუზეუმის შემდეგ დარბაზში ნაჩვენებია სტალინის ბიოგრაფიის დასაწყისი. პირველი სტენდის შუაში განთავსებულია მისი ფოტო 15 წლის ასაკში მშობლების – კეკე (ეკატერინე) გელაძე-ჯუღაშვილისა (1856-1937) და ბესო (ბესარიონ) ჯუღაშვილის (1850-1909) ფოტოსურათებს შორის. აქვეა სტალინის ყმაწვილკაცობის პერიოდის გორის ამსახველი ფოტომასალაც.

მეორე სტენდზე მოცემულია გამოჩენილი ქართველი მწერლების (შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, რაფიელ ერისთავის, ნიკო ლომოურის, ვაჟა-ფშაველასა და ალექსანდრე ყაზბეგის) სურათები. საინტერესოა, რომ ამავე კედელზე გამოკრულია სტალინის მათემატიკის მასწავლებლის – თ. ჟორდანიას ფოტოც.

სამუზეუმო ექსპონატების სახით, აქვეა გაზეთ „ივერიასა“ და „კვალში“ დაბეჭდილი სოსელოს (სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი) ლექსები. სტენდზე გამორჩეულ ადგილას კიდია იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ 1916 წლის გამოცემაში შეტანილი ახალგაზრდა სტალინის ლექსი „დილა“, რომელიც პირველად 1895 წლის 14 ივნისს უსათაუროდ დაბეჭდა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ პირველ გვერდზე.

მეორე დარბაზის დანარჩენი ნაწილი ეთმობა სტალინის რევოლუციურ საქმიანობას: სტატიები გაზეთიდან „ბრძოლა“, სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაციები და იმ პერიოდის შრომები მარქსიზმზე, ეროვნულ საკითხზე, ანარქიასა და სოციალიზმზე, შეიარაღებულ აჯანყებაზე, პასუხი სოციალ-დემოკრატებს და სხვ.

ცალკე სტენდზე წარმოდგენილია საქართველოში რევოლუციური მოძრაობის წარმომადგენელთა ფოტოები. აქვეა 1902-1917 წლების სქემატური რუკა, რომელიც მნახველს უჩვენებს სტალინის დაპატიმრებათა, გადასახლებათა და გამოქცევათა მარშრუტებს. ამავე დარბაზშია სტალინის პირადი ნივთი – ჩალის სამგზავრო ჩემოდანი.



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფარული სტამბის მინიატურული რეპროდუქციები, რომელიც თანამედროვე დამთვალიერებელს თვალნათლივ წარმოუდგენს რევოლუციური მოღვაწეობის მთელ სირთულეს სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით რომ არსებობდა მეფის რუსეთში, საიდუმლო პოლიციისა და ჟანდარმერიის სიმკაცრის პირობებში.

მეორე დარბაზის ბოლო სტენდზე სტალინი წარმოდგენილია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელთა შორის, პირველ საბჭოთა მთავრობაში სამოქალაქო ომის ფრონტებზე. აქვეა გამოკრული გაზეთ „პრავდის“ 1922 წლის 4 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ცნობა იმის შესახებ, რომ იოსებ ბესარიონის ძე სტალინი აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

7.5. საბჭოთა სისტემის შექმნა

მესამე დარბაზი ეთმობა საბჭოთა კავშირის ისტორიას 1925-1940 წლებში. ფოტოები გადმოსცემს ქვეყნის იდეოლოგიურ და ეკონომიკურ განვითარებას სტალინის ხელმძღვანელობით. განსაკუთრებულადაა ხაზგასმული ბოლშევიკური პარტიის როლი ახალგაზრდა და ღარიბი ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის ბრძოლაში.

სპეციალური სტენდი ეთმობა პარტიული ოპოზიციის წარმომადგენლებს: ლევ ტროცკის (1879-1940), ნიკოლაი ბუხარინს (1888-1938), გრიგორი ზინოვიევს (1883-1936), ლევ კამენევს (1883-1936) და სხვ.

ამავე დარბაზში გამოფენილია იმ საჩუქრების მცირე ნაწილი, რაც სტალინს გამოუგზავნეს მისი დაბადების 70-ე წლისთავის აღსანიშნავად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

7.6. მეორე მსოფლიო ომის დარბაზი

მეოთხე დარბაზი მთლიანად ეთმობა მეორე მსოფლიო ომის თემატიკას. ისეთი ფოტოებია შერჩეული, რომ საბოლოო გამარჯვების რწმენაა ასახული თითოეულ



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

მათგანზე. მაგალითად, ამ დარბაზშია გამოფენილი 1941 წელს 6 ნოემბერს ოქტომბრის რევოლუციის 24-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სტალინის გამოსვლის ტექსტი და 1941 წლის 7 ნოემბერს ლეგენდარული პარადის ამსახველი ფოტომასალა. სპეციალური კუთხე ეთმობა თეირანის, იალტისა და პოტსდამის კონფერენციების ფოტოებსა და დოკუმენტებს.

ოვალური ფორმის კედელი და მასზე განთავსებული ფოტომასალა ასახავს მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების პირველ დღეებს: მაისის ღამის ფეიერვერკებს, საზეიმო პარადს, ფაშისტური დროშების ძირს დაყრას საბჭოთა ჯარისკაცების მიერ, მომღიმარ სტალინს და ა.შ.

ამავე დარბაზის ერთი კუთხე გამოყოფილია სტალინის პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო-დოკუმენტური მასალის სადემონსტრაციოდ. აქ არის სტალინის პირველი (ეკატერინე (კატო) სვანიძე, 1885-1907, რომელიც იაკობ ჯუღაშვილის დედა იყო და თბილისში, კუკიის სასაფლაოზეა დაკრძალული) და მეორე (ნადეჟდა ალილუევა, 1901-1932, ვასილ და სვეტლანა ჯუღაშვილების დედა) მეუღლის ფოტოები; აგრეთვე, სტალინის მოხუცი დედის, კეკეს ფოტო შვილიშვილებთან (იაკობი, ვასილი, სვეტლანა) ერთად. გამოფენილია ბელადის მიმოწერა ოჯახის წევრებთან. აქვეა მისი უფროსი ვაჟის, იაკობ ჯუღაშვილის ცხოვრებისა და ფაშისტების ტყვეობაში 1943 წელს გმირულად დაღუპვის ამსახველი დოკუმენტური მასალაც (მათ შორის, იაკობის მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და ლენინის მედალი საბჭოთა კავშირის გმირის დიპლომთან ერთად). აღსანიშნავია იაკობის ქალიშვილის, გალინა ჯუღაშვილის ფოტო.

7.7. ბელადის სიკვდილი

მეხუთე დარბაზი დანარჩენებისგან სრულიად განსხვავებული არქიტექტურითა და შინაარსით ხასიათდება. მას წრიული ფორმა აქვს. შუაში, ასევე წრიულად განთავსებულ მარმარილოს სვეტებს შორის, მოთავსებულია სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისი სახიდან დამზა-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

დებული ბრინჯაოს ნიღაბი. 1953 წლის 6 მარტს დილის 4 საათზე ეს ნიღაბი აიღო სსრკ-ის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა მატვეი მანიზერმა (1891-1966).

სტალინის ნიღბის ათიოდე ასლიც დაამზადა მოქანდაკემ. 2018 წელს ერთ-ერთი მათგანი დიდ ბრიტანეთში გამოჩნდა სტალინის ბრინჯაოს ხელის მტევნებთან ერთად, როდესაც კენტერბერის აუქციონის გალერეამ გასაყიდად გაიტანა. ეს ნივთები ბრიტანული სავაჭრო გემის მეზღვაურის გარდაცვალების შემდეგ, მისი სახლის სხვენში აღმოაჩინეს. სტალინის ნიღაბი უცნობმა ამერიკელმა შეიძინა 13.5 ათას გირვანქა სტერლინგად.

ნიღბის მოპირდაპირე კედელზე კიდია გარდაცვლილი სტალინის პორტრეტი, რომელიც შექმნა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა, უჩა ჯაფარიძემ.

ამავე დარბაზშია ლენინის მავზოლეუმის ასლი და სტალინის საფლავის ფოტო. ცნობისათვის, სტალინი თავიდან მავზოლეუმში დაასვენეს. 1961 წლის 31 ოქტომბერს მისი ნეშტი კრემლის კედელში გადაიტანეს წინა დღეს სკკპ XXII ყრილობაზე ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილების თანახმად. შესაბამისად, მავზოლეუმიდან სტალინის სახელიც გაქრა. ხალხში ამბობდნენ, ნიკიტა ხრუშჩოვმა ადგილი გაიმზადა ლენინის გვერდითო. თუმცა, მავზოლეუმი კი არა, კრემლის კედელიც არ აღირსა ბრეჟნევის მთავრობამ. ესაა იმის მეტყველი ნიმუში, რომ ისტორიიდან რაღაცის ამოშლის მცდელობა ამაოა და, თან, უაზროც.

## 7.8. საჩუქრების დარბაზი

მეექვსე დარბაზი მთლიანად ეთმობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან სტალინისთვის გამოგზავნილ საჩუქრებს. ძალიან ბევრ ექსპონატს აწერია მადლობის სიტყვები სტალინისადმი, მეორე მსოფლიო ომში ამა თუ იმ ქვეყნის განთავისუფლების გამო. აქ არის საჩუქრები როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, ისე ჩინეთიდან, უნგრეთიდან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, პო-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, მექსიკიდან, თურქეთიდან და სხვა მრავალი ქვეყნიდან.

მეექვსე დარბაზი პირობითად შუაზე იყოფა სტალინის მომღიმარი ფოტოთი. მეორე ნაწილში გამოფენილია მხატვრული ტილოები ცნობილი მხატვრების: ლადო გუდიაშვილის (1896-1980), ელენე ახვლედიანის (1901-1975), უჩა ჯაფარიძის (1906-1988), ივანე ვეფხვაძის (1888-1971), ქეთევან მაღალაშვილის (1894-1973), აპოლონ ქუთათელაძის (1899-1972), ირინა შტენბერგის (1904-1985), გოგი თოთიბაძის (1928-2010), ალექსანდრე გიგოლაშვილის (1911-1998), დავით მაისაშვილის, დიმიტრი ნალბანდიანის (1906-1993), ვალენტინ სეროვის (1865-1911), პეტრე ბლიოტკინის (1903-1988), დიმიტრი ვოლგინის (1901-1987), ალექსანდრე ლიუბიმოვის (1879-1955), ალექსანდრე სემიონოვის (1922-1984), კახი ხუციშვილის (დ. 1928), დავით გაბიტაშვილისა (დ. 1920) და სხვ. ჩამოთვლილთაგან ყველა მათგანი საქართველოშია დაბადებული.

## 8. „იყოს თუ არა იყოს“ მუზეუმი

სტალინის პიროვნება იყო, არის და ყოველთვის დარჩება საკამათოდ. ამაში კიდევ უფრო დავრწმუნდი მისი მუზეუმის ნახვის შემდეგ. ასეთ წინააღმდეგობრივ ადამიანს, ალბათ, მუდამ ეყოლება მომხრეც (თანამედროვე სტალინელები ისე ზრდიან შვილიშვილებს, ახალი თაობის სტალინელები უეჭველად გვეყოლებიან) და მოწინააღმდეგეც, თუნდაც ასწლეული გავიდეს. ცხადია, პერიოდულად წამოიჭრება დისკუსია თემაზე: უნდა იყოს თუ არა სტალინის მუზეუმი გორში? ვფიქრობ, ეს სადავო საკითხი ნამდვილად არ არის სწორედ იმ მიზეზთა გამო, რამაც გორში ჩასვლა გადამაწყვეტინა.

ნახევარი დღე გავატარე სამუზეუმო კომპლექსის ტერიტორიაზე. მაქსიმალურად დეტალურად გავეცანი ინფორმაციას, რასაც მნახველს ეს მუზეუმი სთავაზობს. ჩემი თაობის წარმომადგენლისთვის ბუნებრივი კრიტიკული



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

დამოკიდებულებით, დადებითი მგონია ის, ერთი შეხედვით, მცირე ცვლილებები, რაც თავდაპირველი ჩანაფიქრისგან სრულიად განსხვავებულ ფუნქციას ანიჭებს სტალინის მუზეუმს. ისტორიის წაშლა არ გამოვა, მაგრამ მისი მართებულად ჩვენებაა საჭირო. სწორედ ასეთი დამოკიდებულება დავინახე მუზეუმის დირექტორისა და დანარჩენი მესვეურებისგან.

უპირველეს ყოვლისა, სახელწოდებაში ცვლილება იქნებოდა ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი ამ შენობის არსებობის გასამართლებლად. რადგან თავდაპირველი სახელწოდება ისედაც უკვე შეუცვლიათ, ალბათ, ნაკლებად სადავო გახდება, თუ მას სტალინის რეჟიმის ან სტალინის ეპოქის მუზეუმს დავარქმევდით. ჯერ ერთი, მუზეუმი ნამდვილად იცვლება თანამედროვე მიდგომებისა და სტანდარტების შესაბამისად. ეს ადგილი არ ემსახურება სტალინის ბრმა თაყვანისცემას ან მის წმინდანად შერაცხვას;[15] ნამდვილად არ წარმოადგენს სტალინის კულტის სალოცავ ადგილს (იმის მიუხედავად, რომ ასეთი დამოკიდებულება აქვს ზოგიერთს როგორც საქართველოში, ისე თანამედროვე რუსეთშიც). მუზეუმში უკვე დაწყებულია სტალინის რეჟიმის რეალისტურად ასახვა და სწორედ ეს მგონია ამ მუზეუმის არსებობის არა მხოლოდ გამართლება, არამედ – საჭიროებაც. თუ სახელწოდება შეიცვლება, ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი პროგრესული ცვლილების შემოტანა გახდება შესაძლებელი. მუზეუმის ადმინისტრაციას სწორი კურსი აქვს. დირექტორთან ლიანა ოქროპირიძესთან საუბარი ეჭვის საბაბსაც კი არ ტოვებს. მას ისტორიის უაღრესად თანამედროვე ხედვა აქვს.

მეორე მიზეზი ისაა, რომ უცხოელ ტურისტებს განსაკუთრებით აინტერესებთ სტალინის პიროვნება და მისი მუზეუმის საქართველოში აღმოჩენა ბევრს უზრდის ჩვენი ქვეყნისადმი ინტერესს. დასანანია, რომ სტალინზე უკეთესი საბაბით ვიზიტორებს ჯერაც ვერ ვიზიდავთ, მაგრამ არც ეს იქნება ურიგო საქართველოსადმი ინტერესის გასაღვივებლად. აქ ჩამოსულებს კი გაცილებით იოლად მი-



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

ვაწვდით სხვა, მართლაც საამაყო ინფორმაციას ჩვენი სამშობლოს შესახებ.

საინტერესოა, რომ გერმანელი გიდები უკომპლექსოდ აჩვენებენ ბერგჰოფის[66] ნამოსახლარს ტურისტებს და არავის უჩნდება პროტესტის გრძნობა.[47] ჰიტლერის ალპური შტაბის[44] ყოფილი ადგილსამყოფელიც კი ტურისტების მისაზიდად გამოიყენა დღევანდელი ევროპის ისეთმა წამყვანმა ქვეყნამ, როგორიცაა გერმანია. ვფიქრობ, ძალიან დიდი უფსკრულია აპოლოგიასა და თანამედროვე მიდგომებს შორის. სწორედ ესაა გასამიჯნი სტალინის სახლ-მუზეუმის შემთხვევაში. ბერგჰოფი საჰაერო დაბომბვის შედეგად რომ არ გადამწვარიყო,[37] ძალზე საეჭვოა, გერმანელებს საკუთარი ინიციატივით დაენგრიათ ჰიტლერის ყოფილი აგარაკი.

უნდა აღინიშნოს, რომ სტალინის მუზეუმის დამთვალიერებელთა შორის არამარტო რუსები არიან. აქ მრავლად ვნახე როგორც დასავლეთევროპელი (მაგალითად, იგივე გერმანელები) და ამერიკელი, ისე აზიის ქვეყნების წარმომადგენლებიც (არაბული ჩადრებითა და ინდური სარით შემოსილი ქალებით თუ ვიმსჯელებთ, ორაზროვნება გამორიცხულია).

მესამე მიზეზად დავასახელებდი უკანასკნელ პერიოდში მუზეუმის სივრცეში ჩატარებულ „არასტალინურ“ ღონისძიებებს: საზოგადოება „ბილიკის“ ბავშვთა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა, ფოტოხელოვანებისა (გოგა ჩანადირი, უშანგი დიდბერუაშვილი) და სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების გამოფენები, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, მუზეუმის საერთაშორისო დღის აღნიშვნა, შშმ პირთა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა, მოდების ჩვენება იძულებით გადაადგილებულ არასრულწლოვანთა მონაწილეობით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საფორტეპიანო მუსიკის საღამო გორის სამუსიკო კოლეჯის აღსაზრდელთა მონაწილეობით.

დაბოლოს, სტალინიცა და საბჭოთა რეჟიმიც საქართველოს ისტორიის ნაწილია, რომელიც სწორედ იმიტომ



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

უნდა დავაკონსერვოთ არტეფაქტების სახით, რომ სამომავლოდ მსგავსი შეცდომებისა და რეპრესიების გამეორება აზრად აღარავის მოუვიდეს. ასჯერ გაგონილს კი ერთხელ თვალით ნანახი სჯობია, როგორც ამბობენ.

ისტორიის მიუღებელი და მტკივნეული ნაწილის გაქრობის მცდელობა, პრობლემისადმი არასწორი დამოკიდებულებაა. ამიტომაც სხვადასხვა ეროვნების, რასისა თუ რელიგიის ადამიანები მსოფლიო მასშტაბით იზიარებენ ცნობილი ბრიტანელი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ტრევორ ფილიპსის პოზიციას: „როდესაც ერის წარსულს შლი, მის მომავალს უქმნი საფრთხეს“.[62] თავის ესეიში ვესტინდოელი ემიგრანტების წარმატებული შვილი[35] „იმპერიალისტი“ ჩერჩილის ძეგლზე თავდასხმის წინააღმდეგ გამოვიდა და საკუთარი პოზიცია არგუმენტირებული მსჯელობით დააფიქსირა. მსგავსი პოზიცია ჰქონდა ქართველთა ერის მამას, ილია ჭავჭავაძეს. ჩემი თაობა უცხოელს უფრო დაუჯერებს თუ საკუთარ წინაპარს, ეს ინდივიდუალურად გადასაწყვეტი საკითხია. მთავარია, დაფიქრება.

ალბათ, ქართველებს სტალინის სახლ-მუზეუმთან დაკავშირებით მსგავსი მიდგომა გამოგვადგება. მისი არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი გამართლება იქნება საბჭოთა კავშირის ყოფილი ბელადის რეჟიმის ნამდვილი სახის ჩვენება მომავალი თაობებისთვის. თუ მუზეუმის საშუალებით იმ ყოველივეს უკეთ გავიაზრებთ, რაც უარყოფითი და მიუღებელი იყო 70-წლიანი საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში, რა თქმა უნდა, მუზეუმი შეიძლება დარჩეს. სტალინის კულტის პროპაგანდა და აპოლოგია სრულიად გამორიცხული უნდა იყოს. ასე რომ, ამ მუზეუმის ყოფნა-არყოფნის საკითხთან დაკავშირებით, უმთავრესი მისი დანიშნულებაა. რადიკალიზმი ხომ სწორედ საბჭოთა გადმონაშთია და საერთო არაფერი აქვს დემოკრატიასთან, რასაც დღეს საკუთარ გზად მიიჩნევს თავისუფალი საქართველო, სადაც დავიბადეთ მე და ჩემი თაობა.



BRAMS Journal No. 2 ISSN 2667-9299 (print)
2020 Volume 1, Issue 2 ISSN 2960-9348 (online)

# ლიტერატურა ▫ References


1. აფციაური გოგა, გორში სტალინის დაბადების 140-ე წლისთავი აღნიშნეს, რადიო „თავისუფლება“, 21 დეკემბერი, 2019.
2. ბოგვერაძე მარიამ, გორში სტალინის იუბილე აღნიშნეს, ნეტგაზეთი, 21 დეკემბერი, 2018.
3. გორში სტალინის დაბადების 140-ე წლისთავი აღნიშნეს, რადიო „თავისუფლება“, 21 დეკემბერი, 2019.
4. დათეშიძე ნონა, რატომ სვამდა სტალინი მხოლოდ გივი ჩაგელიშვილის მიერ კრემლში გაგზავნილ „თავკვერს“ და „ატენურს“, All Wine, 12 დეკემბერი, 2017.
5. „დედასამშობლო გვიხმობს“ – იცით ვინ არის სინამდვილეში გამოსახული ყველაზე ცნობილ საბჭოთა პლაკატზე?, Intermedia, 16 სექტემბერი, 2016.
6. ვასაძე აკაკი (2012), სტალინი, თბილისი: „არტანუჯი“.
7. იოსებ სტალინის „ორიგინალური ხუმრობა, Genia, 28 ივნისი, 2014.
8. ლომიძე ეკა, მგალობელი სტალინი, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 5 ოქტომბერი, 2011.
9. ლომიძე ეკა, ოპერის თეატრის 8-მეტრიანი „მეფე ჭადი“ 2.5 ტონას იწონის, გაზეთი „კვირის პალიტრა“, 25 იანვარი, 2016.
10. მახარაძე ირაკლი (2016), გურიის რესპუბლიკა: გურიის გლეხთა მოძრაობა 1902-1906 წლებში, თბილისი: გამომცემლობა „აზრი“.
11. „მგალობელი სტალინი“ (2011, რეჟისორი – დავით ცინცაძე).
12. ონიანი გრიგოლ, სტალინი და საქართველო, „საქართველო და მსოფლიო“, 22 თებერვალი, 2018.
13. ჟორდანია ნოე, ბენია ჩხიკვიშვილი, ჟურნ. „ბრძოლა“, №3, 1925, პარიზი, გვ. 16-18.
14. საქართველოში პირველად პარამედიკოსებს მოამზადებენ, სპუტნიკი-საქართველო, 18 დეკემბერი, 2017.
15. ფერაძე სოფო, რატომ არ გადმოასვენა მთავრობამ პოეტი მირზა გელოვანი საქართველოში?, პრესა.ge, 24 მაისი, 2018.
16. „ქართული კინოდოკუმენტალისტიკა – „საერთაშორისო წმინდანი“ (ავტორი – მიხეილ ბასილაძე, რეჟისორი – ლევან ახობაძე), საზოგადოებრივი მაუწყებელი, 17 მარტი, 2015 [იხ.: https://www.youtube.com/watch?v=jgvI7k7NVMg].
17. შავიშვილი კ., ლეგენდარული ქართველი სარდალი, გურიის მოამბე, 2013 [იხ.: http://guriismoambe.com/index.php?m=68&news_id=6323].
18. შეპკინა ანა, გორში სტალინის დაბადებიდან 140-ე წლისთავს აღნიშნავენ, იმედი ნიუსი, 21 დეკემბერი, 2018.
19. ჩარკვიანი გელა (რედ.) (2015), კანდიდ ჩარკვიანი. სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები, თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“.
20. ჩიქვანია თამაზ, რეპორტაჟი თეირანისა და იალტის კონფერენციების კულუარებიდან, სპუტნიკ-საქართველო, 21 დეკემბერი, 2017.
21. ჩუბინიძე დიტო, გრიშა ონიანი: სტალინისთვის ძვირფასი გენერალი კონსტანტინე ლესელიძე განსაკუთრებით ეჯავრებოდა ნიკიტა ხრუშჩოვს, გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 18 ივნისი, 2014.

22. Allen, Grahame, *Knife crime statistics*, House of Commons Library, UK Parliament, 20 December 2019.
23. Allwright, Lucy (2011), *The War on London: Defending the City from the War in the Air: 1932-1942*, Coventry: University of Warwick.
24. Applebaum, Anne (2017), *Between East and West*: *Across the Borderlands of Europe*, New York, NY: Anchor Books.
25. Applebaum, Anne (2013), *Iron Curtain: The Crushing of Eastern Europe*, 1944-1956, New York, NY: Anchor Books.
26. Badshah, Nadeem, *War veteran, 98, dies weeks after violent robbery*, The Guardian, 1 December 2018.
27. Barraclough, Leo, *Why Jeremy Clarkson's 'Top Gear' Team Went to Amazon*, Variety magazine, 31 July 2015.
28. Beschloss, Michael (2018), *Presidents of War*, New York, NY: Crown Publishing Group.
29. Bishop, Patrick (2010), *Battle of Britain: a day-by-day chronicle, 10 July 1940 to 31 October 1940*, London: Quercus.
30. Blinova, Ekaterina, *There's Something About Stalin: Why West Still Reveres the Soviet Leader*, Sputnik News, 21 December 2015.
31. *Coronavirus: Scammers use 'hook' of pandemic to target victims*, BBC News, 15 April 2020.
32. Crisci, M.G. (2017), *Project Zebra: Roosevelt and Stalin's Top-Secret Mission to Train 300 Soviet Airmen in America*, Library of Congress, Case No. PRE000009623.
33. *Dad's Army* (TV Series 1968-1977, creator – Jimmy Perry).
34. Davies, Gareth, *Heroin addict convicted of killing 100-year-old Holocaust survivor in street robbery*, The Telegraph, 13 February 2019.
35. Dodd, Vakram, *Ministers pick Phillips to lead new human rights and equalities body*, The Guardian, 4 September 2006.
36. Dodd, Vikram, *Number of homicides in London climbs to 10-year high*, The Guardian, 31 December 2019.
37. Eberle, Henrik and Uhl, Matthias (2014), *The Hitler Book: The Secret Dossier Prepared for Stalin from the Interrogations of Otto Guensche and Heinze Linge, Hitler's Closest Personal Aides*, translated in English by Giles MacDonogh, Philadelphia, PA: Perseus Books Group.
38. Elizabeth II (2000), *Powers of Criminal Courts (Sentencing) Act 2000*, 90, Westminster: Queen's Printer, 14 December 2007 (legislation.gov.uk). At Her Majesty's pleasure is the term used to describe detention in a British prison for an indefinite length of time. Usually, a judge rules that a person can be "detained at Her Majesty's pleasure" for serioues offences or based on a successful insanity defence.
39. Furr, Grover (2014), *Blood Lies*: *The Evidence that Every Accusation Against Joseph Stalin and the Soviet Union in Timothy Snyder's Bloodlands Is False*, New York, NY: Red Star Publishers.
40. Furr, Grover (2011), *Khrushchev Lied. The Evidence That Every "Revelation" of Stalin's (and Beria's) Crimes in Nikita Khrushchev's Infamous "Secret Speech" to the 20th Party Congress of the Communist Party of the Soviet Union on Februayr 25, 1956, is Provably False*, Kettering, OH: Erythros Press & Media.

41. Furr, Grover (2016), *Yezhov vs. Stalin: The Truth About Mass Repressions and the So-Called "Great Terror" in the USSR,* Kettering, OH: Erythros Press & Media LLC.
42. *Goodnight Sweetheart* (TV series 1993-2016, creators – Maurice Gran, Laurence Marks).
43. Groom, Winston (2018), *The Allies: Roosevelt, Churchill, Stalin, and the Unlikely Alliance That Won World War II*, Washington, DC: National Geographic Partners LLC.
44. Guido, Pietro (2013), *Hitler's Berghof and the Tea-House*, Milan: ISEM.
45. Hill, Amelia, *Coronavirus scammers targeting vulnerable older people, say police*, The Guardian, 21 March 2020.
46. *Hither Green stabbed burglar Henry Vincent lawfully killed*, BBC News, 2 May 2019.
47. *Jack Whitehall: Travels with my Father* (TV Series 2017-2020, directors – Christian Watt, Leo McCrea, John Hodgson); Series 2, Episode 1, 28 September 2018.
48. *Knife crime in England and Wales rises to record high, ONS figures show*, BBC News, 23 April 2020.
49. Knox, Patrick, Neal Bakers, Mark Hodge, Jon Rogers, and Sofia Petkar, *Will there be a World War 3 and who would win?*, The Sun, 23 April 2018.
50. Kotkin, Stephen (2015), *Stalin: Paradoxes of Power, 1878-1928,* New York, NY: Penguin Books.
51. Kotkin, Stephen (2018), *Stalin: Waiting for Hitler, 1929-1941,* New York, NY: Penguin Books.
52. *Man guilty of stabbing armed robber to death in Easterhouse home*, BBC News, 25 February 2020.
53. *Man who killed armed robber in his Glasgow home is jailed*, BBC News, 24 March 2020.
54. McGrath, Nick, *My life through a lens: The Grand Tour's Richard Hammond, 50, shares the stories behind his favourite snaps*, The Dialy Mail, 10 Jan 2020.
55. Mitchell, Margaret (2020), *Gone with the Wind*, Vintage Classics. ISBN-13: 978-1784876111.
56. *Murder inquiry launched following death of elderly woman in her home*, Staffordshire Police, News, 19 March 2020.
57. Nadare, Maia, *A psychological and political analysis of crime*, Scientific-Practical Journal *Criminologist*, Georgian Academy of Criminology Sciences, 24-26 May 2019.
58. *Novel Coronavirus – China*, World Health Organization, 12 January 2020 (who.int).
59. Overy, Richard J. (2013), *The Bombing War: Europe 1939–1945*, London & New York: Allen Lane.
60. Peachey, Kevin, *Coronavirus conman barges in on 83-year-old woman*, BBC News, 3 April 2020.
61. Phillips, Jamie, *Elderly woman robbed by men claiming to be coronavirus cleaners*, SurreyLive, 17 March 2020 (getsurrey.co.uk).
62. Phillips, Trevor, *When you erase a nation's past, you threaten its future*, The Times, 18 September 2020.
63. Quinn, Ben and Owen Bowcott, *Intruder killed in pensioner's home was wanted over another burglary*, The Guardian, 5 April 2018.

64. Reynolds, David (Ed.), and Vladimir Pechatnov (Ed.) (2018), *The Kremlin Letters*: *Stalin's Wartime Correspondence with Churchill and Roosevelt*, Llandysul, Ceredigion, Wales: Gomer Press Ltd.
65. Rubenstein, Joshua (2016), *The Last Days of Stalin*, Llandsul, Ceredigion, Wales: Gomer Press.
66. Schwarzwäller, Wulf (1988), *The Unknown Hitler: His Private Life and Fortune*, translated in English by Aurelius von Kappau, Nahl Pr Books.
67. Service, Robert (2011), *Stalin: A Biography*, Pan Macmillan.
68. Solomon Jr., Peter H. (1996), *Soviet Criminal Justice Under Stalin*, New York, NY: Cambridge University Press.
69. *Stalin in an off-record photo captured by his bodyguard Vlasik*, Rare Historical Photos, 24 November 2013.
70. *Stalin's Son Yakov Dzhugashvili captured by the Germans, 1941*, Rare Historical Photos, 13 April 2014.
71. Sullivan, Rosemary (2015), *Stalin's Daughter: The Extraordinary and Tumultuous Life of Svetlana Alliluyeva*, New York, NY: HarperCollins Books.
72. *The Big Three at the Tehran Conference, 1943*, Rare Historical Photos, 17 September 2016.
73. *The Grand Tour* (TV Series 2016-2019, starring Jeremy Clarkson, Richard Hammond, James May).
74. *Top Gear* (TV Series 2002-2018, starring Jeremy Clarkson, Richard Hammond, James May).
75. U. S. Embassy Tbilisi, აშშ-ის საელჩოს განცხადება ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილის გათავისუფლების შესახებ, აშშ-ის საელჩო საქართველო, 28 დეკემბერი, 2019 (ge.usembassy.gov).
76. Vonow, Brittany, *Harrowing moment dying pensioner begs for help and says SORRY in 999 call as burglars ransack the home she survived Blitz in*, The Sun, 14 March 2019.
77. Waterlow, Jonathan (2018), *It's Only A Joke, Comrade!: Humour, Trust and Everyday Life under Stalin*, Oxford: CreateSpace Independent Publishing Platform.
78. Weaver, Matthew, *Elderly woman dies after burglary in north London*, The Guardian, 5 December 2018.
79. Wills, Ella, *Zofija Kaczan death: drug addict convicted of killing holocaust survivor, 100, for £20 heroin cash*, The Evening Standard, 13 February 2019.
80. *Young Stalin in pictures, 1894-1919*, Rare Historical Photos, 3 February 2017.
81. www.bbc.co.uk
82. www.georgianmuseums.ge
83. www.gori.gov.ge
84. www.nplg.gov.ge
85. www.stalinmuseumi.ge